



## დაუყოვნებლივ გასაგრძელებლად

**საქართველო: სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი უნდა გაიზარდოს**  
*გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი საქართველოს რეფორმებისკენ მოუწოდებს*

(თბილისი, 2008 წლის 10 ივნისი) – ბავშვთა უფლებებზე მომუშავე გაეროს ექსპერტების მიერ მომზადებული ახალი ანგარიში მოუწოდებს საქართველოს, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი განსაზღვროს არანაკლებ 14 წლით, განაცხადეს დღეს Human Rights Watch-მა და ორგანიზაციამ „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI). საქართველომ უნდა გააუქმოს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას 12 წლის ასაკიდან ადგენს.

6 ივნისს გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა გამოთქვა „ღრმა სინანული“ გასულ წელს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკს 14 წლიდან 12 წლამდე ამცირებს (ანგარიშის სრული ტექსტი იხილეთ: <http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/crcs48.htm>). საქართველოს თაობაზე მიღებულ დასკვნით რეკომენდაციებში კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას მინიმალური ასაკის ისევ 14 წლამდე გაზრდას თხოვს .

„აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს საქართველოში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის შემცირების წინააღმდეგ მიმართულ ანგარიშგასაწევ ხმას“, განაცხადა გიორგი გოგიამ, Human Rights Watch-ის კავკასიის მკვლევარმა. „კომიტეტის მიერ რეფორმებისკენ მოწოდება ხაზს უსვამს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სათანადო სისტემის ჩამოყალიბების საჭიროებას“.

აღნიშნული დასკვნები და რეკომენდაციები გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტის მიერ იქნა მიღებული მას შემდეგ, რაც მათში განიხილა

საქართველოს მხრიდან წარდგენილი მესამე პერიოდული ანგარიში. კომიტეტი მონიტორინგს უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის მოთხოვნების განხორციელებას.

დასკვნებში აღნიშნულია, რომ კომიტეტი მიესალმება ხელისუფლების მიერ გატარებულ ზოგიერთ საკანონმდებლო და პროგრამულ ღონისძიებას, მათ შორის ახალი კანონებისა და ბავშვებზე ზრუნვის სამოქმედო გეგმის მიღებას, თუმცა აგრეთვე გამოთქვამს სინანულს იმ ფაქტის გამო, რომ „მისი უწინდელი რეკომენდაციები და რიგ საკითხებზე გამოთქმული შეშფოთება ნაწილობრივ ან არასაკმარისად იქნა გაზიარებული“.

2007 წლის 23 მაისს მთელი რიგი ცვლილებები შევიდა საქართველოს სამ კანონში, რითაც მოხდა არასრულწლოვანების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის 14-დან 12 წლამდე შემცირება ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებაში (მათ შორის, განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, ცივი იარაღის ტარება).

ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ღრმა სინანული გამოთქვა ამ ცვლილებებთან დაკავშირებით. მან დაჟინებით მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ „დაუყოვნებლივ აღადგინოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წლიდან“, რათა შესაბამისობაში მოვიდეს კომიტეტის ერთ-ერთ ზოგად კომენტართან (კონვენციის სახელმძღვანელო განმარტებები). კომენტარი ცალსახად მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ „არ შეამცირონ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის უკვე არსებული მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 12 წლამდე“ და ის თანდათანობით გაზარდონ.

როდესაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის შემცირებისათვის საკანონმდებლო ცვლილებები იქნა მიღებული, საქართველომ იკისრა ვალდებულება რომ 12 და 13 წლის არასრულწლოვანებისათვის და აგრეთვე კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა ბავშვისთვის შექმნიდა მართლმსაჯულების სათანადო სისტემას. ეს გადასვლა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალ სისტემაზე უნდა დასრულებულიყო 2008 წლის 1 ივლისისათვის, როდესაც ძალაში შედის აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები.

Human Rights Watch-ი და „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ მიღწეულია გარკვეული პროგრესი, რომელიც შეეხება მოსამართლეებისა და ადვოკატების სწავლებას და არასრულწლოვანი პრობაციონერების რეაბილიტაციისათვის რამდენიმე პილოტური პროექტის დანერგვას. თუმცა, საქართველო კვლავაც შორსაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებისაგან, რომელიც უზრუნველყოფს 12 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანთა გასამართლებას სამართლიანი სასამართლოსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საყოველთაო პრინციპების შესაბამისად.

კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ჩამოაყალიბოს სასამართლოები არასრულწლოვნებისთვის და დანიშნოს არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული მოსამართლეები, აგრეთვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სხვა სპეციალისტებისთვის ჩაატაროს სათანადო ტრენინგ-სწავლება. კომიტეტმა აგრეთვე გამოხატა შეშფოთება ეფექტური მექანიზმების არარსებობის გამო, რომელიც უზრუნველყოფდა ბავშვთა მიმართ პატიმრობის ზომების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და რაც შეიძლება მოკლე ვადით გამოყენებას.

„მხოლოდ ასეთი მექანიზმების არსებობა აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას უპასუხოს გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებს“, განაცხადა მერი მერფიმ, ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორმა. „იმის ნაცვლად, რომ 12 და 13 წლის ბავშვების ციხეში მოთავსების შესახებ გეგმები შეიმუშაოს, აჯობებს თუ საქართველოს ხელისუფლება შეისწავლის ბავშვთა დანაშაულის პრევენციის მსოფლიოში არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. სახელმწიფომ უნდა განავითაროს სოციალური ზრუნვისა და დახმარების, აგრეთვე სხვა პრევენციული სამსახურები, რომლებიც საქართველოს კულტურისა და პირობების, აგრეთვე მისი ვალდებულებების შესატყვისი იქნება“.

**2008 წლის ივნისში საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი ერთობლივი წერილი შეგიძლიათ იხილოთ:**

<http://hrw.org/english/docs/2008/06/01/georgi19065.htm>

**დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ:**

გიორგი გოგიას თბილისში (ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე):  
+995-77-42-12-35 (მობილური)

მერი მერფის ქენეკაში (ინგლისურ ან რუსულ ენაზე): +995-77-44-88-41  
(მობილური)